ENERGY DEVELOPMENT GEORGIA

EDG

ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯია

N041/21

22.04.2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი კოდექსი"-ს შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად წარმოგიდგენთ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მდ. საშუალაზე 2,25 მგვტ დადგმული სიმძლავრის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესის, 35 კვ. მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის და 35 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობა და ექსპლუატაციის პროექტის ზემოქმედების შეფასების ანგარიშს. ამასთანავე გაცნობებთ, რომ დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულია 2020 წლის 8 დეკემბრის N96 სკოპინგის დასკვნა.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შესაძლებლობის შემთხვევაში შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯია"-ს სახელზე გასცეთ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

1. სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი; (სანებართვო მოსაკრებლის მიმღები სახაზინო კოდი: 300773080);
2. დაგეგმილი საქმიანობის შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში - 1 ეგზემპლარი (ნაბეჭდი) ვერსია;
3. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიტუაციური გეგმა (მანძილების მითითებით);
4. ჰესის მშენებლობა-ექსპლუატაციის ფაზისთვის, ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირულ წყლის ობიექტში ჩაშვებულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი - 3 ეგზემპლარი;
5. გზშ-ის ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი;
6. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯია"-ს რეგისტრაციის თაობაზე;
7. დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია, სამშენებლო ბანაკის და საპროექტო ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატები GIS-ის სისტემაში- CD-ზე.

პატივისცემით,

გიორგი შუკაკიძე

დირექტორი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო № 7557 27 04 2021 15CD 02

EDG LTD, Vazha-Pshavela st. 70, 17th Floor, Tbilisi, 0186, Georgia, Phone: +995 577 08 09 22
e-mail - infoedgorgia@gmail.com